

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



ნ ე ჯ ნ ი ს ა

ა უ ღ ი ტ უ რ ი კ ო ნ ც ე რ ე ნ ი

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2023

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
1. ძირითადი ინფორმაცია	11
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	11
3. მომზადების საფუძველი	11
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	23
7. ავანსები	23
8. ამონაგები	24
9. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	24
10. საოპერაციო ხარჯი	24
11. მიწოდების ხარჯები	26
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26
13. არასაოპერაციო შემოსავალი	27
14. არასაოპერაციო ხარჯები	27
15. მოგება (ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	27
16. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	28
17. რისკების მართვა	29
18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	30
19. გაუთვალისწინებელი გარემოებები	31
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	32
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	32

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2023 წლის 12 აპრილი:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მაია ლიპეროვსკაია

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“-ს პარტნიორებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 2

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 3

არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

ზვიად იმნაიშვილი

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

თბილისი, საქართველო

12 აპრილი, 2023 წელი

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2022	31.12.2021	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	949,651	869,789	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	693,628	6
მარაგები	2,171	2,171	
ავანსები	155,389	14,759	7
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10,460	4,461	
	1,117,670	1,584,807	
მიმდინარე აქტივები სულ:			
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	298	364	
არამატერიალური აქტივები	1,085	1,261	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	1,382	1,626	
აქტივები სულ	1,119,053	1,586,433	
მიმდინარე ვალდებულებები:			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	551	49	
გადასახდელი გადასახადები	9,019	3,521	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	9,569	3,570	
ვალდებულებები სულ:	9,569	3,570	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	100	100	
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	1,109,384	1,582,763	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	(473,379)	162,951	
კაპიტალი სულ:	1,109,484	1,582,863	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1,119,053	1,586,433	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 12 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022	2021	შენიშვნა
ამონაგები	1,851,888	2,123,794	8
რელიზებული საქონლის ღირებულება	(1,560,289)	(1,415,017)	9
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	291,599	708,777	
საოპერაციო ხარჯები	(490,650)	-	10
მიწოდების ხარჯები	(17,332)	(36,305)	11
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(54,762)	(421,962)	12
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	(271,145)	250,510	
ფინანსური ხარჯები	-	(241)	
არასაოპერაციო შემოსავალი	69,776	-	13
არასაოპერაციო ხარჯები	(78,089)	-	14
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(193,920)	(87,318)	15
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან	(202,234)	(87,559)	
მოგება/(ზარალი) დაბეგვამდე:	(473,379)	162,951	
მოგების გადასახადის ხარჯი			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ :	(473,379)	162,951	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება/(ზარალი):	(473,379)	162,951	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 12 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022	2021
ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2,748,396	2,114,056
შემენილი სასაქონლო - მატერიალური მარაგი	(1,633,082)	(2,024,700)
გადახდილი ხელფასები	(96,142)	(95,062)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(13,152)	(28,385)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(538,878)	(23,000)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(260,236)	(45,954)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	206,907	(103,045)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(127,045)	(73,579)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	79,862	(176,624)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	869,789	1,046,413
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	949,651	869,789

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 12 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2020-თვის	100	1,419,812	1,419,912
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)	-	162,951	162,951
ნაშთი 31.12.2021-თვის	100	1,582,763	1,582,863
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)	-	(473,379)	(473,379)
ნაშთი 31.12.2022-თვის	100	1,109,384	1,109,484

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 12 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულ იქნა 2014 წლის 12 მარტს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 405033878. იურიდიული მისამართია - ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქ. #29-29ა (ნაკვეთი #15/25). კომპანიის ხელმძღვანელია გიორგი კაციტაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო ტექნიკის და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმით ვაჭრობა (რეექსპორტი).

კომპანიის ერთადერთი 100%-იანი დამფუძნებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია „MN Medical“ (#11514417, ესტონეთი).

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია „MN Medical“-ის დამფუძნებელი ფიზიკური პირები:
ანდრეი მატვეიკოვი (36208290059 - ბელორუსიის რესპუბლიკა - 97,5%);
ვალერი ტრაფიმოვი (36308270315 - ესტონეთის რესპუბლიკა - 1,25%);
სვეტლანა ტრაფიმოვა (46612250301 - რუსეთის ფედერაცია - 1,25%).

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, რაც იწვევს ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს.

3. მომზადების საფუძველი

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

ბ) წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ერთეულის სიზუსტით.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. წარსადგენ ვალუტაში ოპერაციების აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის საშუალო კურსს.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები:

	31.12.2022	31.12.2021
ლარი / 1 USD	2.7020	3.0976
ლარი / 1 EUR	2.8844	3.5040
ლარი / 100 RUB	3.6770	4.1479

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის გაყიდვიდან ან/და მომსახურების გაწევიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ჯერ ძალაში არ შესულა.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2021-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

გ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

კომპანია აღრიცხავს ცვეთას კლებადი ნაშთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა

კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაციის საშუალებები	- 5 წელი
განუსაზღვრელ ვადიანი არამატერიალური აქტივები	- 6-7 წელი

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფინანსური აქტივი

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

- 1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- 2) როცა კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშების გავლით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე -5%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

ი) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

მ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ნ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ო) იჯარა

2015 წლის იანვარში, ბასს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ აღნიშნული სტანდარტის გამოყენება დაიწყო 2019 წლის 1 იანვრიდან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის მოთხოვნის შესაბამისად მოიჯარე აღიარებს აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარე ყველა აღიარებული იჯარისთვის იყენებს ერთიან მოდელს, თუმცა უფლება აქვთ არ აღიარონ

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

„მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებს.

პ) ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოცემული იყო 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით და ჯერ არ არის დანერგილი

- სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიის ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელოს, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა:

(i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელოს, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად

კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-ისთვის:

- **ძალაში შესვლის თარიღი:** ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- **დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:** საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- **სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:** დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- **ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:** როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის

ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.

- *სხვა შესწორებები:* სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო

სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	949,651	869,789
	<u>949,651</u>	<u>869,789</u>

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს ერთ კომერციულ ბანკში - სს „თიბისი ბანკი“.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2022	31.12.2021
ადგილობრივი დამკვეთები	-	-
არარეზიდენტი დამკვეთები	106,594	965,504
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(106,594)	(271,876)
	<u>-</u>	<u>693,628</u>

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას გააჩნდა სავაჭრო მოთხოვნები ბელარუსულ კომპანია „SBS Medical“ LLC-თან, რომელიც გაუფასურებულია სრულად;

7. ავანსები

	31.12.2022	31.12.2021
გაცემული ავანსები ადგილობრივ კომპანიებზე	586	14,759
გაცემული ავანსები არარეზიდენტ კომპანიებზე	154,802	-
	<u>155,389</u>	<u>14,759</u>

8. ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი გენერატორების რეალიზაციიდან	13,747	-
შემოსავალი იმპლანტანტების რეალიზაციიდან	269,757	650,326
შემოსავალი ენდოსკოპიური ინსტრუმენტების რეალიზაციიდან	1,156,057	1,198,424
შემოსავალი ქირურგიული ძაფების რეალიზაციიდან	-	150,269
შემოსავალი აგენტების საქმიანობიდან	-	124,775
შემოსავალი კათეტერების რეალიზაციიდან	375,643	-
შემოსავალი ინტეგრირებული სქემების რეალიზაციიდან	36,685	-
	1,851,888	2,123,794

9. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2022	2021
იმპლანტების თვითღირებულება	(198,470)	(352,294)
ენდოსკოპიური ინსტრუმენტების თვითღირებულება	(977,437)	(957,494)
ქირურგიული ძაფების თვითღირებულება	-	(105,229)
კათეტერების თვითღირებულება	(350,058)	-
ინტეგრირებული სქემების თვითღირებულება	(34,325)	-
	(1,560,289)	(1,415,017)

10. საოპერაციო ხარჯი

	2022	2021
საგადასახადო ხარჯები	(490,650)	-
	(490,650)	-

2022 წლის დეკემბერში დასრულდა კომპანიის საქმიანობის 01.01.2018-01.01.2021 პერიოდის კამერალური საგადასახადო შემოწმება საწარმოს მიერ დადგენილი საბაზრო ფასის საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობის და ამ ოპერაციებთან მიმართებაში ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ნორმების გამოყენების დადგენის მიზნით. საბაზრო პრინციპების გამოყენება მოითხოვს, რომ ურთიერთდამოკიდებულ პირებსა და დამოუკიდებელ პირებს შორის განხორციელებული

ოპერაციები შედარებადი იყოს. შესამოწმებელ პერიოდში ურთიერთდამოკიდებულ პირთან განხორციელებულ კონტროლირებად ტრანზაქციებში კომპანია წარმოდგენილია როგორც საქონლის გამყიდველი, რომელიც ახორციელებს მარაგების შეძენას დამოუკიდებელი პირებისაგან მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით საქართველოს ფარგლებს გარეთ. კომპანია ყიდის მარაგებს როგორც ურთიერთდამოკიდებულ პირებზე, ასევე დამოუკიდებელ მხარეზეც. შესამოწმებელ პერიოდში (2018-2020 წლები) დამოუკიდებელ მხარეზე რეალიზაციები განხორციელებულია 2020 წლის განმავლობაში. შემოწმებლების მიერ 2020 წლის მონაცემები გამოყენებულ იქნა 2020, 2019 და 2018 წლების მონაცემებთან შესადარებლად. შემოწმებლების მიერ გამოყენებულ იქნა ფასნამატის მეთოდი. შემოწმებლების მთავარი არგუმენტაციაა: კომპანიას შესადარებელ უკონტროლო ტრანზაქციებსა და კონტროლირებული ოპერაციების ფარგლებში შესრულებული ფუნქციების მიხედვით განხორციელებული აქვს მსგავსი საქონლის რეალიზაცია. ამასთან დამოუკიდებელ და ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან დადებულია მსგავსი შინაარსის ხელშეკრულებები და გაკონტროლებული და უკონტროლო ტრანზაქციის სააღრიცხვო მეთოდები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. შესაბამისად შემოწმების მიერ მოხდა აღნიშნული ფასნამატის დადგენა. შესადარებელ უკონტროლო ტრანზაქციაში განხორციელდა ღირებულების გამოთვლა და მათი შემდგომი სარეალიზაციო ფასის მიხედვით ფასნამატის ოდენობის განსაზღვრა. მიღებული მაჩვენებელი შეუდარდა ურთიერთდამოკიდებულ პირებზე რეალიზებული საქონლისგან მიღებულ ფასნამატის შესაბამის მაჩვენებელს. მოგების გადასახადით დაიბეგრა კონტროლირებული ოპერაციის კორექტირებული თანხა (შემოწმების მიერ (არასწორად) დადგენილ საბაზრო ფასებსა და ფაქტობრივ ფასებს შორის სხვაობა), რადგან შემოწმებლების მიხედვით ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს. სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო შემოწმების აქტისა და საგადასახადო მოთხოვნის თანახმად, დარიცხულია დამატებითი გადასახადები 735,975 ლარის ოდენობით, მათ შორის: ძირითადი გადასახადი 490,560 ლარი, ჯარიმა 245,325 ლარი.

კომპანიის მენეჯმენტის მტკიცებით საგადასახადო შემოწმება განხორციელდა დადგენილი პროცედურების დარღვევით, შემოწმების შედეგად მოცემულ აქტში აღწერილი საკითხი და საბაზრო ფასის განსაზღვრის მეთოდი სრულიად შეუსაბამოა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან და OECD-ის (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) და გაეროს ინსტრუქციებთან, განსაკუთრებით 2018 და 2019 წლებთან მიმართებით. ასევე, დარიცხვა განხორციელდა საკითხის არსებითი განხილვის და ანალიზის გარეშე. კომპანიის მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირზე საქონლის მიწოდების ოპერაციის განხორციელებისას ასრულებდა მხოლოდ შუამავალი გადამყიდველის როლს მინიმალური ფუნქციით და თითქმის ყოველგვარი საოპერაციო რისკის გარეშე, რის სანაცვლოდაც იგი იღებდა შედარებით დაბალ, მაგრამ გარანტირებულ მოგებას. ხოლო დამოუკიდებელ პირთან განხორციელებულ ოპერაციებში სრულფასოვანი დისტრიბუტორი იყო და ბევრად მეტ საოპერაციო რისკს იღებდა. შესაბამისად არ შეიძლებოდა ამ ორი ტიპის ოპერაციიდან ერთნაირი მოგების მოლოდინი ჰქონოდა კომპანიას. აქედან გამომდინარე,

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

აღნიშნული ვალდებულება არ იყო აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან შემოწმების შედეგები გასაჩივრებული იყო და არსებობდა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ საჩივარი დაკმაყოფილებული იქნებოდა. კომპანიას 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულის საკითხის შესახებ მოხსენიებული ჰქონდა პირობით მოსაზრებებში.

2022 წლის 5 დეკემბერს მოხდა საგადასახადო შეთანხმების გაფორმება კომპანიასა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის, რომლის თანახმად კომპანიის საგადასახადო დავალიანება განისაზღვრა 490,650 ლარით და გადახდის ვადად დაუდგინდა 2 კალენდარული დღე. კომპანიამ შეასრულა აღნიშნული შეთანხმების პირობები. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას საგადასახადო დავალიანება არ გააჩნია.

11. მიწოდების ხარჯები

	2022	2021
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(13,152)	(28,385)
საბროკერო მომსახურება	(2,080)	(6,320)
საბაჟოზე მომსახურების საფასური	(2,100)	(1,600)
	(17,332)	(36,305)

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(120,177)	(123,284)
საკანცელარიო ხარჯები	(567)	(510)
საიჯარო ქირა	(3,840)	-
კომუნიკაციის ხარჯები	(1,742)	(2,413)
საფოსტო მომსახურების ხარჯი	(971)	(2,790)
კომპიუტერის ხარჯები	-	(1,334)
საკონსულტაციო ხარჯები	(47,267)	(11,386)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(22,945)	(138)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯები	149,676	(271,876)
ცვეთა და ამორტიზაცია	(243)	(1,011)
გამოყენების უფლების მქონე აქტივის ცვეთა	-	(3,599)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(54)	(39)
საბანკო ხარჯები	(5,184)	(2,861)
სხვა საერთო ხარჯი	(1,448)	(720)
	(54,762)	(421,962)

13. არასაოპერაციო შემოსავალი

	2022	2021
არასაოპერაციო შემოსავალი იმპლანტების რეალიზაციიდან	8,965	-
არასაოპერაციო შემოსავალი ენდოსკოპიური ინსტრუმენტების რეალიზაციიდან	60,810	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1	-
	69,776	-

კომპანიის მიერ არასაოპერაციო შემოსავლებში აღიარებულია არარეზიდენტი კომპანიისთვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების თანხები, რომელიც არ უკავშირდება კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობას.

14. არასაოპერაციო ხარჯები

	2022	2021
ენდოსკოპიური ინსტრუმენტების თვითღირებულების ხარჯები	(9,507)	-
იმპლანტების თვითღირებულების ხარჯები	(63,286)	-
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	(5,022)	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(274)	-
	(78,089)	-

კომპანიის მიერ არასაოპერაციო ხარჯებში აღიარებულია არარეზიდენტი კომპანიისთვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულების თანხები, რომელიც არ უკავშირდება კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობას. ასევე საგადასახადო ჯარიმები და საურავები და სხვა არასაოპერაციო ხარჯი;

15. მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობებიდან

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2022		
	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	(127,045)	(127,045)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	40,282	(41,673)	(1,391)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	40,282	(168,718)	(128,436)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან		(65,485)	(65,485)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	-	(65,485)	(65,485)
სულ	40,282	(234,202)	(193,920)

	2021		
	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	(73,579)	(73,579)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,640	(19,887)	(16,247)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	3,640	(93,466)	(89,825)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,508	-	2,508
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	2,508	-	2,508
სულ	6,148	(93,466)	(87,318)

16. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს

მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

17. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია შეიძლება დადგეს სავალუტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31.12.2022

	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	934,746	35	934,781
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-
აქტივები სულ:	934,746	35	934,781
ვალდებულებები სულ:	-	-	-
ნეტო შედეგი	934,746	35	934,781
USD (10% ცვლილება)	93,475		
RUB (10% ცვლილება)	4		

31.12.2021

	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	856,124	40	856,164
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	693,628	-	693,628
აქტივები სულ:	1,549,752	40	1,549,791
ვალდებულებები სულ:	-	-	-
ნეტო შედეგი	1,549,752	40	1,549,791
USD (10% ცვლილება)	154,975		
RUB (10% ცვლილება)	4		

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორთან

	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები	-	124,775
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		

განხორციელებული ტრანზაქციები ძირითად მენეჯმენტთან

	2022 წელი	2021 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	(85,266)	(96,541)

19. გაუთვალისწინებელი გარემოებები

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა - სწრაფი ტემპით განვითარებულმა კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მასშტაბებმა გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, კერძოდ: კომპანიის საქმიანობა სახელმწიფოთა შორის დაწესებულმა აკრძალვებმა გადაზიდვებზე საგრძნობლად შეამცირა კომპანიის შემოსავლები, მაგრამ ავიაგადაზიდვების დარეგულირებისას, კომპანიის ფუნქციონირება დასტაბილურდა.

დამატებით გარემოებას წარმოადგენს უკრაინაში 2022 წლის თებერვლიდან წარმოებული სამხედრო მოქმედებები, რომელმაც როგორც ეკონომიკური პრობლემები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი შეზღუდვები წარმოქმნა; გავლენა იქონია ავიაგადაზიდვებზე და შეზღუდვების ფარგლებში საერთაშორისო გადარიცხვებზეც კონტროლი გამკაცრდა; ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ის გავლენას არ იქონიებს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში კომპანიას არ გააჩნდა სასამართლო დავები.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია, რომ მოითხოვდეს განმარტებით შენიშვნებს. რამე სახის არამაკორექტირებელი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა დამატებით განმარტებას, არ ფიქსირდება.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 12 აპრილს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2023 წლის 12 აპრილი:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



გიორგი კაციტაძე

მაია ლიპეროვსკაია



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო N 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“-ს პარტნიორობსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ

არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

ზვიად იმნაიშვილი

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“



თბილისი, საქართველო
12 აპრილი, 2023 წელი

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2022	31.12.2021	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	949,651	869,789	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	693,628	6
მარაგები	2,171	2,171	
ავანსები	155,389	14,759	7
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10,460	4,461	
მიმდინარე აქტივები სულ:	1,117,670	1,584,807	
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	298	364	
არამატერიალური აქტივები	1,085	1,261	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	1,382	1,626	
აქტივები სულ	1,119,053	1,586,433	
მიმდინარე ვალდებულებები:			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	551	49	
გადასახდელი გადასახადები	9,019	3,521	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	9,569	3,570	
ვალდებულებები სულ:	9,569	3,570	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	100	100	
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	1,109,384	1,582,763	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	(473,379)	162,951	
კაპიტალი სულ:	1,109,484	1,582,863	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1,119,053	1,586,433	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 12 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი

მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩამოთვლილ წარმოდგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (1 ლარი)

	2022	2021	შენიშვნა
ამონაგები	1,851,888	2,123,794	8
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(1,560,289)	(1,415,017)	9
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	291,599	708,777	
საოპერაციო ხარჯები	(490,650)	-	10
მიწოდების ხარჯები	(17,332)	(36,305)	11
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(54,762)	(421,962)	12
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	(271,145)	250,510	
ფინანსური ხარჯები	-	(241)	
არასაოპერაციო შემოსავალი	69,776	-	13
არასაოპერაციო ხარჯები	(78,089)	-	14
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(193,920)	(87,318)	15
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან	(202,234)	(87,559)	
მოგება/(ზარალი) დაბეგვამდე:	(473,379)	162,951	
მოგების გადასახადის ხარჯი			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ :	(473,379)	162,951	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება/(ზარალი):	(473,379)	162,951	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 12 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი

მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2,748,396	2,114,056
შემძენილი სასაქონლო - მატერიალური მარაგი	(1,633,082)	(2,024,700)
გადახდილი ხელფასები	(96,142)	(95,062)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(13,152)	(28,385)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(538,878)	(23,000)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(260,236)	(45,954)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	206,907	(103,045)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(127,045)	(73,579)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	79,862	(176,624)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	869,789	1,046,413
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	949,651	869,789

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 12 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი

მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2020-თვის	100	1,419,812	1,419,912
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)	-	162,951	162,951
ნაშთი 31.12.2021-თვის	100	1,582,763	1,582,863
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)	-	(473,379)	(473,379)
ნაშთი 31.12.2022-თვის	100	1,109,384	1,109,484

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 12 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი

მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.